მუსიკა – ყვავილებში ჩამალული ქვემეხი

ავტორი მაია გოგსაძე

სტატიის მიზანია მოსწავლის ჰარმონიული განვითარება მუსიკალურ კულტურასთან ზიარებით. ამისთვის მოსწავლე უნდა გაეცნოს მუსიკის ინტონაციურ-სახეობრივ ბუნებას, ჟანრულ თუ სტილისტურ მხარეებს, მუსიკალური ენის განსაკუთრებულობას, კლასიკურ და ფოლკლორულ მემკვიდრეობას და მუსიკის კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან.

გავეცნოთ რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პოლონელი კომპოზიტორისა და ვირტუოზი პიანისტის ფრიდერიკ შოპენის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

კომპოზიტორის დაბადების ზუსტი თარიღი დღემდე უცნობია. ბიოგრაფები ორ თარიღს ასახელებენ: 22 თებერვალს და 1 მარტს, – თუმცა მშობლები და თვით შოპენიც ყოველთვის პირველ მარტს მიუთითებდნენ.

კომპოზიტორი 1810 წელს დაიბადა ვარშავასთან ახლოს მდებარე მამულში, პოლონურ ოჯახში.

კულტურულ გარემოში გატარებულმა ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა შოპენის ფსიქოლოგიისა და შემოქმედებითი ინტერესების ფორმირებაზე. კომპოზიტორის მამას, ფართო თვალთახედვისა და განათლების მქონე ადამიანს, ვარშავაში ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგის რეპუტაცია ჰქონდა. ოჯახში გამუდმებით ჟღერდა მუსიკა: მამა ვიოლინოსა და ფლეიტაზე უკრავდა, დედა – დიდგვაროვანი ოჯახის შვილი – შესანიშნავად ფლობდა ფორტეპიანოს და კარგადაც მღეროდა.

ჩვილ ასაკში ფრიდერიკის მუსიკალური მგრძნობელობა მშფოთვარედ და უცნაურად ვლინდებოდა. თავდაპირველად მშობლებს ეგონათ, რომ მათ ვაჟს მუსიკა არ სიამოვნებდა, ვინაიდან, როდესაც დედა უკრავდა, ის ტირილს იწყებდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ტირილის მიზეზი მუსიკის გავლენა, მისკენ მძაფრი ლტოლვა ყოფილა. დედის კალთას ჩახუტებული ბიჭი დიდხანს უსმენდა როიალის ხმას. ღამით ლოგინიდან წამოხტებოდა, სიბნელეში კლავიშებს მოძებნიდა და დღისით მოსმენილ მელოდიებს არჩევდა.

მშობლების ყურადღებითა და მზრუნველობით განებივრებული ფრიდერიკი უფრო და უფრო ავლენდა გასაოცარ მუსიკალურ ნიჭს. ხუთი წლისა, უკვე საკმაოდ კარგად უკრავდა პიანინოზე. მოცარტის მსგავსად მუსიკით „შეპყრობილი“, გარშემო მყოფებს იმპროვიზაციებში დაუშრეტელი ფანტაზიით და თანდაყოლილი პიანიზმით აოცებდა.

ფორტეპიანოში სისტემატური მეცადინეობა შოპენმა 6 წლიდან დაიწყო, ხოლო პირველი ნაწარმოები – პოლონეზი g-moll – 7 წლისამ დაწერა. სულ მალე მისი პირველი საჯარო გამოსვლაც შედგა და ყველასთვის უმალ ცხადი გახდა, რომ ბიჭი გენიოსი იყო. ვარშავის პრესა აღფრთოვანებით აღნიშნავდა: „პოლონური ცეკვის ავტორი რვა წლის ბავშვია... ნამდვილი მუსიკალური გენია. ის არა მხოლოდ სრულიად თავისუფლად და დიდი გემოვნებით ასრულებს ფორტეპიანოზე ურთულეს პიესებს, არამედ რამდენიმე ცეკვისა და ვარიაციის ავტორიცაა, რაც

მუსიკის მცოდნეებს ძალზე აოცებთ“. ამ პირველმა გამოსვლამ სათავე დაუდო შოპენის შემდგომ არტისტულ წარმატებას ვარშავაში.

კონცერტის შემდეგ, როდესაც დედამ რვა წლის ფრიდერიკს ჰკითხა, როგორ მოეწონა ის საზოგადოებას, მან გულუბრყვილოდ უპასუხა: „დედა, ყველა ჩემს საყელოს უყურებდა“.

თორმეტი წლის შემდეგ „პოლონელ მოცარტს“ პიანინოს შესწავლაში პედაგოგი აღარ ჰყოლია. ყველაფერი, რასაც მიაღწია, დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ 14 წლის შოპენის გენიალურობის თაობაზე აზრი მისმა პედაგოგმაც, გვარად ელსნერმა გამოთქვა: „ის, რაც შექმენი, ხელოვნების წესებთან არ არის თანხვედრაში, მაგრამ ვინაიდან შესანიშნავია, არ შევასწორებ, შენიშვნებსაც კი არ მოგცემ და არც უნდა მოგცე: იარე საკუთარი გზით, რადგან შენში ხელოვნებისთვის დღემდე უცნობ ნაპერწკალს ვხედავ“.

16 წლის შოპენი ვარშავის კონსერვატორიის სტუდენტია, რომელსაც 1926 წელს ამთავრებს. ამ დროს რექტორი ელსნერი მის შესახებ ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „გასაოცარი უნარების მქონეა. მუსიკალური გენიოსი“. იგი შოპენს არწმუნებს, გასცდეს ქვეყნის საზღვრებს, გაიცნოს უცხოური მუსიკა და თავადაც გააცნოს თავი უცხოეთს.

ფრიდერიკი პირველად ვენას ესტუმრა, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

იმხანად პოლონეთში რთული ვითარება იყო. თავისუფლების მოყვარული ქვეყანა რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ფრიდერიკის მშობლები და ახლობლები შიშობდნენ, პოლიტიკურ რყევებს ხელი არ შეეშალა ფრიდერიკის ტალანტის განვითარებისთვის და ხელი შეუწყვეს უცხოეთში გამგზავრებაში.

როდესაც შოპენი მორიგ მოგზაურობას გეგმავდა, პოლონეთის დედაქალაქში პოლიტიკური ატმოსფერო უფრო და უფრო იძაბებოდა, პატრიოტები რუსული ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებისთვის ემზადებოდნენ. შოპენი როგორც თავისი ქვეყნის გენიალური შვილი აცნობიერებდა უმძიმეს მისიას – სახელი გაეთქვა სამშობლოსთვის უცხო ქვეყნებში.

1829 წელს, ფრიდერიკის გამგზავრებიდან ორი კვირის შემდეგ, ვარშავაში აჯანყებამ იფეთქა. იმპერატორი ნიკოლოზ I-ის პოლონეთის მეფედ კურთხევამ სამოქალაქო მღელვარება გამოიწვია.

სამწუხაროდ, პოლონეთი რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა (მხოლოდ 1918 წელს დაიბრუნა დამოუკიდებლობა) და როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ევროპის რუკიდან გაქრა, მაგრამ მსმენელებისთვის ის შოპენის შემოქმედებაში გაცოცხლდა.

ამბავი ვენასაც მისწვდა. სამწუხაროდ, შოპენს სამშობლოს მწარე ხვედრზე დარდი მხოლოდ შორიდან თუ შეეძლო. სწორედ ამ მოვლენებს აღწერს მისი ცნობილი „რევოლუციური ეტიუდი“.

შოპენი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის ატმოსფეროში იზრდებოდა. მისი სულიერი სამყარო ნაციონალური ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის პოლონელი ხალხის დაძაბული ბრძოლის პერიოდში ჩამოყალიბდა. პატრიოტული აღტკინება, თავისუფლებაზე ოცნება, მშობლიური ქვეყნის სიდიადე შთააგონებდა მას და სტიმულს აძლევდა შემოქმედებითი ძიებისთვის. პოლონელთა ნაციონალური თვითდამკვიდრების სიმძაფრემ საბოლოოდ განსაზღვრა შოპენის მსოფლაღქმა და მისი შემოქმედების მიმართულება.

პოლონეთიდან „დროებითი“ გამგზავრება სამშობლოსთან სამუდამო განშორებად იქცა. „რევოლუციური ეტიუდი“ c-moll (ოპ. 10 № 12) მრისხანების, აღშფოთების, სასოწარკვეთის წუთებშია შექმნილი. ტრაგიკული ცნობის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა კომპოზიტორმა მუსიკაში გახსნა თავისი სულის აქამდე ხელუხლებელი მხარე – მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული მგზნებარე დრამატიზმი.

შოპენის საუკეთესო ნაწარმოებებად ერთმნიშვნელოვნად ეტიუდებია მიჩნეული. მან ამ ჟანრს ბევრი რამ შესძინა. ყოველი ეტიუდი რომანტიკული მინიატურაა და, იმავდროულად, ახალი ტექნიკური ხერხების დაუფლებისკენ მიმავალი გზა. შოპენამდე ეტიუდის დანიშნულება მხოლოდ ტექნიკური ჩვევების განვითარება იყო, ფრიდერიკმა კი ამ ჟანრში ახალი, გასაოცარი პოეტური სამყარო შექმნა. „რევოლუციური ეტიუდით“ მან ბეთჰოვენისეულ უმაღლეს ტრაგიზმს მიაღწია.

გთხოვთ, მეთორმეტე (12) ბილიკზე – Chopin Etude Op 10 No.12 Valentina Lisitsa გადახვიდეთ

ეტიუდი c-moll შოპენის პირველი გმირული ნაწარმოებია აჯანყების მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიციით. ის იწყება მძვინვარე ტალღისებრი პასაჟებით მარცხენა ხელში, ხოლო აკორდებში მოცემული პუნქტირული რიტმით უმძაფრესი დრამატული ხასიათის თემა ამოიზრდება.

თემას რელიეფური რომანტიკული ინტონაციებიც ახასიათებს. გარდა ამისა, ეტიუდში ნათლად იკვეთება აქცენტები ქრომატიზმზე, რიტმული მოუსვენრობა-ცვალებადობა და დატვირთული აკორდიკა. შოპენის გმირული თემა სასიმღერო ნიშნებსაც ინარჩუნებს.

ფინალში შტორმი თითქოს მშვიდდება, მაგრამ ქარივით მოვარდნილ მოულოდნელ პასაჟს მძლავრი აკორდებით ნაწარმოების დასასრულისკენ მივყავართ. ეტიუდი სრულდება დაბალ რეგისტრში აბსოლუტური სიმტკიცით და, იმავდროულად, ღრმა მწუხარებით.

შოპენის ეტიუდი c-moll მინიატურულია, თუმცა მასში მთელი სიმძაფრითაა ასახული პოლონეთის აჯანყების ტრაგიკული ბედი.

[იხილეთ ვიდეოს ბმული]

„ძლევამოსილმა თვითმპყრობელმა მონარქმა, იქ, ჩრდილოეთში, რომ იცოდეს, მისთვის რაოდენ საშიში მტერი იმალება შოპენის ქმნილებებში, მუსიკას აკრძალავდა“.